# ცნობის ფურცელი

**V წ.** ყოველ დღიური გაზეთი ქვირა-უქმეების შემდეგაც.— სამშაბათი, 25 იანვარი 1900 წ. **№ 1025.**

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცელის" რედაქციაში (ვაჭის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთნაწერები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"**



## „მოამბე" 1900 წ. „ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)
**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში**

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

(წელიწადი მეხუთე)
**გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც**

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| | 1 წლით | 1 თვით |
|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 6 მან. | 75 კაპ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში | 7 მან. | 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე"-ს ერთის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ დაეთმობა**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

**გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели".**

---

ჟურნალი **„მოამბე"** და გაზეთი **„ცნობის ფურცელი"** უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ დაეთმობათ წელიწადში **6** მანეთად და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს **8** მანეთად.

---

ვინც **„მოამბეს"** ერთის წლით გამოიწერს, **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ დაეთმობა.
წლიური ფასი განიყოფება ასე: პირველად—**5** მანეთი, 1-ლ აპრილამდე—**3** მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—**2** მანეთი.

---

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 27 იანვარს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ბენეფისი **გ. გედევანოვისა**

პირველად განახლების შემდეგ

## ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბ.ბ. ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, სიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.**

ნ. (3—3) რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე და კ. მესხი.**


## მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის სამოსამართლო პალატის სტოლნაჩალნიკის თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი კასილ ბროძელი დაინიშნა იმავე პალატის ბუღალტერის თანაშემწედ.

გუბერნსკი სეკრეტარი თავ. გიორგი ხერხეულიძე დაინიშნა ქალაქ ალექსანდროპოლის ბოქაულის თანაშემწედ.

---

## ახალი ამბავი

✦ „კავკაზ"-ის სიტყვით, ტფილისის თავად-აზნაურთა ქარვასლის მმართველ კომისიას დაუდგენია იშუამდგომლოს თავად-აზნაურთა მომავალ მორიგ კრების წინაშე ქარვასლაში არსებულ **ქართულ თეატრის შენობის დანგრევის შესახებ.** კომისიის აზრით, თეატრის მაგიერ უნდა აშენდეს მაღაზიები და მათ შემოსავლიდან ეძლიოს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 2—3 ათასი მან. სუბსიდია სხვა თეატრში წარმოდგენების გამართვისათვის იმ დრომდე, სანამ მოხდებოდეს ქარვასლის საჭირო რემონტი და სანამ ახალი თეატრი აშენდებოდეს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს გაუმჯობესობა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში **ქართულისა და სომხურ ენების სწავლებისა.** ამისთვის, სხვათა შორის, გარდაწყვეტილია განსაკუთრებული მასწავლებლები მოიწვიონ ამ ენების სწავლებისათვის; დღემდის-კი ადგილობრივ ენებს ასწავლიდა რომელიმე სხვა საგნების მასწავლებელი.

✦ ახალქალაქიდან იწერებიან, რომ 22 იანვარს, დილის 5 საათზე, ქ. ახალქალაქში და ბარალეთის საზოგადოში კვლავ მომხდარა **მიწის წვრა.** სოფელ სანსარში დაქცეულა ერთი სახლში; ნანგრევებ ქვეშ მოჰყოლია ოთხი გლეხი. დაქცეულა რამდენიმე სახლი კიდევ, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ უმსხვერპლია. მცხოვრებნი უკანასკნელ დროს დამშვიდდნენ, მაგრამ ამ მიწის ძვრამ კვლავ შიშში და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ისინი.

✦ ჩვენ ამას წინად მოყვანილი გვქონდა ცნობა, რომ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას **ზუგდიდში საქალაქო თვით-მმართველობა** შემოკლებულის წესით. ეხლა კავკასიის უმაღლესს მთავრობას მოუთხოვნია ხსენებულ საგუბერნიო მმართველობიდან შემდეგი ცნობები: 1) რომელის საბუთის ძალით არის აღიარებული ზუგდიდი ქალაქად და მასში ფული იკრიბება და იხარჯება საქალაქო წეს-რიგით; 2) თუ ზუგდიდი კანონით არ არის ცნობილი ქალაქად და მხოლოდ ჩვეულების ძალით ძველადგანვე ითვლებოდა ქალაქად, ამ შემთხვევაში რომელი ნაწილი მისი უნდა იქმნას აღიარებული ქალაქად; ამასთანავე საჭიროა ცნობაში იქმნას მოყვანილი: ა) ვის მიწაზეა (კერძო პირის, ხაზინის თუ საზოგადოების) აშენებული ზუგდიდი და რა პირობებით აქვთ მცხოვრებთ აღებული სამოსახლო ადგილები; ბ) არის თუ არა ზუგდიდში საზოგადოდ სახმარებელი ადგილები—ქუჩებისთვის, მოედნებისთვის და სხვ. და თუ არის, რა პირობებით აქვთ მცხოვრებთ აღებული; გ) რა ხელობასა და საქმეს ადგიან უმთავრესად ზუგდიდელები; დ) თანახმანი არიან ზუგდიდის მიწის პატრონები, რომ ზუგდიდი ქალაქად იქმნას აღიარებული; ე) რამდენს აქვს ზუგდიდში მამული ღირებული 100 მან. არა ნაკლებად, რომლებსაც შეეძლებათ ამომრჩეველთა უფლებებით სარგებლობა და ვ) რამდენი იქნება დაახლოვებით ქალაქის შემოსავალი, თუ ზუგდიდში შემოღებულ იქმნა თვით-მმართველობა 1892 წლისა.

✦ სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა ა. ს. ერმოლოვმა გაიცნო-რა ნავთის ქარხნების (აფშერონის ნახევარ-კუნძულზე) მუშათა მდგომარეობა, ჩასთვალა საჭიროდ, რომ **მუშების სადგომები** ცალკე იქმნას ქალაქ გარეთ აშენებული; ხოლო იქიდან ქარხნებში მუშების გადაზიდვისთვის ტრამვაები უნდა იქმნას აგებული. ამ ჟამად ადგილები ამ სადგომების აშენებისთვის უკვე მოსძებნეს და

ახლო მომავალში შეუდგებიან სადგომების აგებასაც.

✦ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოსთვის წარუდგენია წინადადება, რომ ამიერ კავკასიაში შემოღებულ იქმნას სრულად ტყეების დასაცველად არსებული კანონები, რადგანაც უკანასკნელ დროში მეტად უპატრონოდ და უწეს-რიგოდ იჩეხება კერძო პირთა ტყეები.

✦ ქუთაისის გუბერნატორს გენ.-მაიორს გერშელმანს მოუთხოვნია ყველა მაზრების უფროსებთაგან ანგარიშები ქსესხებულ-შემნახველ ამხანაგობათა, რომელნიც ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ქალაქებში მოქმედებენ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, — წარმოუდგინონ მას პირველ აპრილამდე ანგარიშები, თუ რამდენია ამ ჟამად ყოველ მაზრაში სამეურნეო თანხა.

✦ ქუთაისის გუბერნიის ტყის პატრონებთ და მრეწველთ შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ დაკლებულ იქმნას რკინის გზით გადასაზიდველ ტყის მასალაზე დადებული ტარიფი.

✦ „ივერიის“ სიტყვით, 19 იანვარს, ტფილისის სამღვდელოებამ თავისს კრებაზედ დაადგინა, შეკრებილ იქმნა სხვა-და-სხვა ჟურნალ გაზეთებში სხვა-და-სხვა დროს დაბეჭდილი მოძღვრებანი, სიტყვანი და შესხმანი და ცალკე კრებულად გამოიცესო. ამ საქმის სისრულეში მოყვანა მიენდო მღვდელთ — ა. თოთიბაძეს, კ. ცინცაძეს და ნ. მაჭარაშვილს.

✦ კავკასიისუმაღლეს მთავრობას აღუძრავს კითხვა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში დაარსებულ იქმნას ცენტრალური საექიმო სადგური სულით ავადმყოფთათვის.

✦ წარსული წელიწადი საკმაოდ გვალვიანი იყო და ამან ხელი შეუწყო ქუთაისის გუბერნიაში ბამბის ადრე მოწევას. ზოგან ბამბა აგვისტოს მიწურულ რიცხვებში მოაგროვეს. ქვიან ადგილებზე კი, სადაც ბამბის ხე ნაკლებ ხაროშს და სიცხისგან სწუხდება, ბამბა შეაგროვეს სექტემბრის პირველ რიცხვებში. გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში და სხვაგან — ქვიან მიწაზე — საშუალოდ $2^1/_2$ — $3^1/_2$ წმინდა ბამბა მოგროვდა ერთ ქცევა მიწიდან, ან 7—9 ფ. დესეტინაზე. გუბერნიის დ სავლეთ ნაწილში (საჩინოს ახლო-მახლო) და სხვა ნოტიო ადგილებში ქცევაზე — 3 ფ. ან დესეტინაზე 8—10 ფ.

ქუთაისის საცდელ მინდორზე დესეტინაზე 45 ფ. შეუმუშავებელი ბამბა მოჰგროვდა, ან 15 ფ. სუფთა. ბამბის მოგროვება გათავდა ოქტომბრის მიწურულებში, ხოლო ადრე დათესილ მინდვრებზე სამიოდ კვირით ადრე.

ამერიკულ ბამბის გამოსავალი 30%-მდეა, ადგილობრივი — გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილებში 29—30%, დასავლეთით — 28—29%. წლევანდელი ბამბა ყველგან კარგი ხარისხისა გამოვიდა გარდა იმ ადგილებისა, სადაც ვალვამ შეუშალა ხელი ბამბის მომწიფებას.

მთელს გუბერნიაში 6 ჩიხრიხი მუშაობს: ქ. ქუთაისში — 3, დ. ნოვოსენაკში და სამტრედიაში — 2 და სოფ. სიმონეთში — 1. წვრილი ჩარჩები ბამბას ყიდულობენ 20 კ. გირ ან ქას ამავე ფასად (8 მან. ფ.) ყიდულობენ დიდი მოვაჭრენიც. ასეთი ფასები, უეჭველია, ბევრს დაუბადავს სურვილს ბამბის მოყვანას მოჰკიდოს ხელი.

✦ საიმპერატორო სარხეოლოგიო საზოგადოებამ სთხოვა გუბერნატორებს, მათ შორის ამიერ კავკასიისაც, მიიღონ ზომები სასოფლო კანცელარიების არხივების დასაცვავად, რადგანაც ამ არხივებში ხშირად საინტერესო მასალა არის ხალხის ზნე-ჩვეულეთა შესასწავლად.

✦ სამხრეთ-რუსეთის აკლიმატიზაციის საზოგადოება ხარკოვში 1900 წ. ჰმართავს საბაღოსნო გამოფენას. 28 აგვისტოდამ 4 სექტემბრამდე იქმნება გამოფენა ყვავილების მცენარეებიისა, ბოსტნეულობისა და ხილეულობისა, ხოლო 8 სექტემბრიდამ 18 სექტემბრამდე — ბოსტნეულობისა, ხილეულობისა, ტყის მცენარეებისა და თესლეულობისა. გამოფენაზე თერთმეტი განყოფილება იქმნება: ნერგებისა, ხილისა, ბოსტნეულობისა, სამკურნალო და ფუტკრისათვის სასარგებლო მცენარეებისა, დეკორატიული მცენარეებისა, ტყის მცენარეებისა, ხილიდამ და ბოსტნეულობიდამ მომზადებული საგნებისა, ბაღის სამუშაო იარაღებისა და თესლეულობისა, სკოლა ნერგების დარგვისა, გლეხის ბოსტანი ₫ ბაღი და ლიტერატურა ამ საგნებისა. გამოფენის კომიტეტი ხარკოვშია.

✦ დუშეთისა და თიონეთის მაზრების ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორად დაინიშნა ტფილისის სახაზინო პალატის ბუჰგალტერი ბ. კორგანოვი.

✦ გუშინ, 24 იანვარს, ტფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე გორის აზნაურის კონსტანტინე კალანდარაშვილისა, რომელსაც დაბრალდა სიყალბის ჩადენა და სხვის ფულების მითვისება. წარსულ წლის 6 აპრილს კალანდარაშვილს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უწყება ვლად. კოვალიოვის სახელზე 40 მან. მიღების შესახებ. კალანდარაშვილმა კოვალიოვის პიროვნება შეამოწმა რკინას გზის ტფილისის დეპოს უფროსის მაგიერ ხელის-მოწერით და შემდეგ მიიღო ფოსტიდან 40 მანეთი. კალანდარაშვილმა გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული და სასამართლომ მას მიუსაჯა ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება და 40 მანეთის გარდახდა კოვალიოვის სასარგებლოდ.

✦ რადგან ქალაქის მეორე ნაწილში ბევრ სახლის პატრონს ქალაქის გარდასახადი არ შეაქვს, გამგეობას მათი სახლები გასასყიდად დაუნიშნავს. ამ ჟამად უკვე შესდგომიან სახლების აღწერას.

✦ ოზურგეთიდან გვწერენ, რომ 23 იანვარს იქ უეცრად გარდაცვლილა ადგილობრივი ნოტარიუსი დიომიდე გვრუმაშვილი.

---

## თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** კვირას, 23 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებმა, ბ-ნის ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოადგინეს მონგომერის ოთხ-მოქმედებიანი დრამა «ბედს ვერ წაუხვალ». აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ პიესა ნათარგმნი არისო, და წარმოიდგინეთ მაყურებლების გაკვირვება, როცა სცენაზე ჩვენებური გვარები და სახელები გაისმა! იმერელი ლაქიაც კი არ აკლდა ამ ტიპიურ ფრანგულ პიესას. მეტად გვიკვირს, რამ აიძულა ბატონი მთარგმნელი თუ გადმომკეთებელი, რომ დაემახინჯებია ეს მეტად სცენიური მელო-დრამა. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. გარდა ბ-ნის ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა, ვერც ერთი მოთამაშე ვერ ასრულებდა რიგიანად როლს. სამაგიეროდ ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი ძალიან კარგი იყო. მიუხედავად უანსამბლობისა, მაყურებელი თვალს ვერ აშორებდა არტისტს. ბევრს გული აუჩვილა იმისმა გრძნობიერმა თამაშმა.

დასასრულ დადგეს მხიარული ვოდევილი „ცოლი ორის დღით“, რომელმაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

არ შევვიძლიან არ ვურჩიოთ დრამატიული საზოგადოების გამგეობას, რომ მან მეტი ყურადღება მიაქციოს პიესების არჩევას. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ არტისტებს, განსაკუთრებით არტისტ-ქალებს, ძალიან უჭირთ ევროპიული დრამების როლების შესრულება. ამიტომ გამგეობა უნდა ერიდებოდეს იმისთანა პიესების დადგმას, რომელთათვისაც ჩვენ ქალები არ გვყავს.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია, გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ, ხუთშაბათს, 27 იანვარს, ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქმნება გუცკოვის ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“.

---

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**24 იანვარი.**

**ლონდონი.** დურბანიდან იუწყებიან ოცდა ორ იანვარს, რომ მთავრობამ მკვიდრ მცხოვრებთაგან მიიღო ცნობა: ბურებმა ცხრამეტ იანვარს მიიტანეს იერიში ნკუტურზე, რომელიც შეადგენს ზულულანდის ადმინისტრატიულ უმთავრეს ქალაქს. ბურებმა, რომლებსაც თან ჰყავდათ არტილერია, ადგილობრივი მთავრობა იძულებული ჰყვეს დამორჩილებოდა. ხმა არის, ვითომ ქალაქის უფროსი თავისი თანამოსამსახურეებით ტყვედ წაუყვანიათო.

კაპშტადტიდანატყობინებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ გენერილმა რობერტსმა განკარგულება მოახდინა, განთავისუფლებულ იქმნას პრეტორიუსი, რომელსაც ექიმებმა ფეხი მოსჭრეს. რობერტსმა განაცხადა, რომ მას არა ჰსურს ტუსაღად ჰყავდეს მამაცი მეომარი.

ლედი-სმიტთან მდებარე ბურების ბანაკიდან 21 იანვარს იუწყებიან, რომ იქ სრული სიმშვიდე სუფევს; მას დაარღვევს ხოლმე დრო გამოშვებითი „დიდი თომას“ ზარბაზანი.

ფრიდეის ოლქის მთავარ სარდლის თანაშემწემ ფრერში ტყვედ წაიყვანა 11 ევროპიელი ₫ ნკუტურში ინგლისელის ცხენოსან პოლიციის 34 მოსამსახურე.

**ლედი-სმიტი.** ბულლერის ჯარი იმოდენად მოუახლოვდა ქალაქს, რომ ზარბაზნების ხმა მოისმის. მის ქალაქში შემოსვლას მოუთმენლად მოელიან. ბურების უმთავრესი ჯარები დაბანაკებულია სამხრეთით

და დასავლეთით. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ცოტა ჯარი ჰყავთ.

**პარიზი.** დღეს სენ-მანდეში ქარხნების მუშების საბჭო პალატამ გაუმართა ვალდეკ-რუსოს და მილიერანს ბანკეტი. ვალდეკ-რუსომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სრულის სიმართლით აღნიშა რა გაუკეთებია საბჭო პალატას და განმარტა რა აქვს საერთო ამ დიწესებულების განვითარებას რესპუბლიკის საქმეებთან. „ახლანდელმა მთავრობამო, — სთქვა ვალდეკ-რუსომ,—მიიღო მართველობა ძალიან სამძიმო პირობების დროს. უნდა დაეცვა რესპუბლიკა დაუძინებელ და მუდმივ მტრებისგან. ჩვენ შემდეგშიაც ბევრჯელ გვექნება შემთხვევა რესპუბლიკის მტრებთან შეხვედრისა, რომელთა მოქმედებაც დამყარებული იქნება არა ძალაზე, არამედ გაიძვერაობაზედ. ჩვენ ყოველივეს უშიშრად შევხვდებით, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, მიუხედავად კრიტიკისა, რომ რესპუბლიკა უნაყოფო არას დროს არ ყოფილა და არც დემოკრატია დაუთმობს ვისმეს იმ გამარჯვებას, რომლის მოპოვებისათვისაც მას ბევრი შრომა და მეცადინეობა მოუნდომებია. მომავალი ჩვენ არ გვაშინებს, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი რესპუბლიკისაა.

**სპირმანსკამპი.** მტერი დღეს გორაკებიდან ესროდა ზოგიერთ ესკადრონებს ცხენოსან ჯარისას, რომელნიც ზვერავდნენ მიდამოებს. ბურები კიდევა სწვავენ ბალახს მაუნტ-ალისის მარცხენა მხარეზე, იმ განზრახვით, რომ შეეძლოთ თვალ-ყური ადევნონ ჩვენი ჯარების წინ-მსვლელობას.

**ფრანკფურტი კენტუკში.** გებელი, რომელსაც უკანასკნელ არჩევნებზედ დემოკრატები გუბერნატორის კანდიტატად ასახელებდნენ და რომელიც 18 იანვარს დასჭრეს, დღესა გარდაიცვალა.

დრ. რედაქტ. **ალ. ჭყონია.**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდარო ცნობები

**სამშაბათი,** 25 იანვარი; ახალი სტილით 6 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 341 დღე. მთვარის მე-9 დღე. ხსენება წმიდათა შორის მამისა გრიგოლისა, ქალ-მოწამისა ფელიციასი და მის შვიდთა შვილთა.

**ოთხშაბათი,** 26 იანვარი; ახალი სტილით მეშვიდე თებერვალი, წლის დასრულებამდე დარჩა 340 დღე. მთვარის მე-10 დღე. ხსენება ღირსისა მამისა ქსენეფონისა და შვილთა მისთა; ხსენება კეთილმსახურისა მეფისა დავით მესამისა აღმაშენებელისა.

შემდეგი უქმე დღე—2 თებერვალს, მირქმა უფლისა ჩვენისა.

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —9 | კ. |
| სუკი . . . . | 1 „ | —15 | კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 | კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | — 8 | კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარისხ. 1 გ. | 5 | „ | კ. |
| „ „ | II | „ „ | 3½ | | |
| „ „ | III | „ „ | 3 | „ | |
| იგივე თონნისა | I | „ „ | 5 | | |
| „ „ | II | „ „ | 4 | „ | |
| „ „ | III | „ „ | 3½ | „ | |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 | „ | |
| „ „ | II | „ „ | 4 | „ | |

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | ხარისხი. |
|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | № 4—7 „ 25 „ |
| № 1—8 „ 50 „ | № 5—7 „ — „ |
| № 2—8 „ — „ | № 6—6 „ 75 „ |
| № 3—7 „ 50 „ | № 7—6 „ 25 „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ.
ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.
მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ.
ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მამ.-60დე.

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | | ვოკზალზე: | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| დორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ ურო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი თათრული 3 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 30 მ.-დამ 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან. შესაბმელი —

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში – 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**ქუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 5 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 35 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50 ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთ საჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკაზში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 წ. ს. 30


# განცხადებანი

**თეორია და პრაქტიკა ფრანგულის ენისა**

გეიდენის ქ., № 6, ქვემო სართული

**სადილის შემდეგ 5—6 საათზედ.**

იქვე დაქვეითებულ მოსწავლეთა გამეჯითება.


**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ გამგეობის თანადასწრებით, შუა დღის 12 საათზე, 1900 წ., 3 თებერვალს, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის ადგილისა, ტფილისის მე-7 ნაწილში,

მახათის მთისა და მარტყოფის გზის შუა, ამატუნის მამულების ახლო, ზომით 237 დეს. გაჯის დასაწვავად. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. 3—2

დაიბეჭდა და იყიდება
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
ახალი საყმაწვილო სურათებიანი წიგნი ყმაწვილებისა:
ლელა
თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ.
გამოცემა
[illegible]
ფასი 8 კაპ.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1900 годъ на
# НОВЫЙ ЖУРНАЛЪ
# ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ
4-й годъ изданія
## ИСКУССТВА и НАУКИ.

12 книгъ—4 большихъ тома, болѣе 7,000 столбцовъ больш. in-8° 2,000 иллюстрацій на лучшей бумагѣ. Книга обходится подписчику менѣе 35 к.

**Первое въ Россіи** общедоступное иллюстрированное ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ИЗДАНІЕ.
(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ ежемѣсячниковъ).

| | |
|---|---|
| На годъ | 4 р. — к. |
| Съ доставк. и пересыл. | 5 „ — „ |
| На полгода | 2 „ 50 „ |
| Съ доставк. и пересыл. | 3 „ — „ |

## Содержаніе «Новаго Журнала Иностранной Литературы» въ теченіе всѣхъ 12-ти мѣсяцевъ 1900 г.
будетъ еще богаче, чѣмъ въ предшествующее трехлѣтіе и по выбору наилучшихъ произведеній выдающихся писателей и художниковъ, и по разнообразію и новизнѣ литературныхъ, научныхъ и художественныхъ этюдовъ и статей съ иллюстраціями. Изъ нихъ отмѣтимъ наиболѣе крупныя и значительныя:

Новое произведеніе Эмиля Зола, еще не издававшееся во Франціи.

Новый романъ АНАТОЛЯ ФРАНСА.

Новые разсказы Гюи Де-Мопасана.

Фантастическій романъ Уэльса (автора „Борбы міровъ“) После дождика въ четвергъ.

Англійскій юмористическій романъ
**Венера и Амуръ.**

Философскіе романы Вольтера.

**ЭПОПЕЯ РАБЛЭ.** О героическихъ дѣяніяхъ и реченіяхъ добраго пантагрюэля. Съ французскаго текста XVI вѣка. Съ многочисленными иллюстраціями ДОРЕ.

Изъ автографіи Марка Твена.

Новое жизнеописаніе Оливера Кромвеля.

Нравственно-общественные этюды Макса Нордау.

Избранныя страницы Фридриха Ницше.

**СЕЗАМЪ и ЛИЛІИ.** Джона Рескина (John Ruskin). первый полный переводъ. (Простыя мысли о книгахъ, какъ мы ихъ читаемъ, какъ могли бы и должны бы ихъ читать).

**АТМОСФЕРА**
Капитальный и увлекательный трудъ знаменитаго ученаго популизатора Камилла Фламаріона (въ 6 книгахъ съ 300 иллюстраціями).

Живопись прерафаэлитовъ за все время ея существованія. Съ многочисленными репродукціями съ картинъ 50 художниковъ. Цѣна англійскаго изданія, послужившаго источникомъ для этой монографіи.—25 руб.

**Современный Парижъ.**
Этюды объ интереснѣйшихъ фазисахъ современной парижской жизни, промышленной и фешенебельной, оффиціальной, литературной и артистической.
Съ иллюстраціями Андре Кастенья, рисунки котораго для напечатанной нами въ 1899 г. исторической монографіи проф. Уилера „Александръ Великій“ и въ статьѣ „Семь чудесъ міра“ обратили на себя общее вниманіе.

Живописное и красивѣйшее на Всемірной Парижской выставкѣ 1900 г. Въ рисункахъ знаменитыхъ французскихъ художниковъ и въ наилучшихъ фототипическихъ репродукціяхъ.

**XIX ВѢКЪ ВЪ КАРИКАТУРАХЪ.**
Это—единственная въ своемъ родѣ юмористическая характеристика главнѣйшихъ событій общественной, литературной. художественной и артистической жизни уходящаго въ вѣчность столѣтія въ произведеніяхъ знаменитыхъ европейскихъ рисовальщиковъ, съ пояснительнымъ текстомъ.

**Подписная цѣна на 1900 г.:**
Годовая (съ 1-го января 1900 г.) Безъ доставки 4 р., съ достав. и пересил. 5 р. за границу 8 р. Полугодовая безъ доставки 2 р. 50 к., съ доставкой и пересылкой 3 р. За границу 5 р.
Книга обходится подписчику менѣе 35 к.
Для гг. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденіяхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.

*Редакторъ-издатель Ѳ. И. БУЛГАКОВЪ.*

ПОДПИСКА ПРИНИМАЮТСЯ:
Въ редакціи „Новаго Журнала Иностранной Литературы“—С.-Петербургъ, Малая Морская, д. № 9, и въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“ (Невскій, 40). Въ Москвѣ—въ конторѣ Н. Печковской (Петровскія линіи), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается и разсрочка, а также принимается только годовая подписка безъ доставки въ Москвѣ—ц. 4 р. 50 к. Иногороднія подписчики въ разсрочку благоволятъ адресоваться въ редакцію „Новаго Журнала Иностранной Литературы“ (С.-Петербургъ, Малая Морская, 9).

ზ. (5—3)

## Открыта подписка на 1900 годъ
НА БОЛЬШУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
*безъ предварительной цензуры*
# „СѢВЕРНЫЙ КУРЬЕРЪ“.
Редакція и Контора С.-Петербургъ, Большая Морская, № 5.

Въ основу своего міросозерцанія „Сѣверный Курьеръ“ полагаетъ идею единства европейской цивилизаціи, не исключающей началъ національной самобытности, и ставитъ своей цѣлью добросовѣстное и безпристрастное изученіе русской жизни и освѣщеніе ея въ духѣ справедливости и развитія гражданственности. Въ этомъ смыслѣ „Сѣверный Курьеръ“ направитъ всѣ усилія, чтобы быть вѣрнымъ выразителемъ прогрессивныхъ стремленій наиболѣе отзывчивой части русскаго общества. Придавая огромное значеніе совершающейся въ Россіи экономической эволюціи въ области земледѣлія и промышленности, „Сѣверный Курьеръ“ будетъ внимательно слѣдить какъ за самымъ процессомъ эволюціи, такъ и за всѣми происходящими на этой основѣ измѣненіями въ духовной жизни народа, всюду выдвигая надъ узкоэгоистическими личными и групповыми интересами благо и интересы трудящихся массъ безъ различія сферы приложенія ихъ труда. Серьезное вниманіе будетъ удѣлено выясненію и установленію правильныхъ отношеній между центромъ и окраинами на основѣ полнаго признанія и уваженія правъ личности, національности и началъ вѣротерпимости. „Сѣверный Курьеръ“ вѣритъ въ необходимость органическаго роста областного начала, желательность дальнѣйшаго расширенія сферы общественной самодѣятельности и потому отведетъ подобающее мѣсто вопросамъ земскаго и городского самоуправленія, областнымъ интересамъ и нуждамъ. Не меньшее значеніе придаетъ газета успѣхамъ русской школы и просвѣщенія и въ этой области поставитъ своей задачей сплоченіе и объединеніе усилій разрозненныхъ дѣятелелей на просвѣтительномъ поприщѣ. Серьезное вниманіе будетъ удѣлено интересамъ науки, искусства и латературы.

*Въ газетѣ примутъ участіе:*

I. Въ отдѣлѣ публицистики, науки и пр.: Андреевскій, А. М., проф. Багалѣй. Д. И., Брандтъ, Б. Ф., Василевскій, А. В., Венгеровъ, С. А., Венгерова, З. А., Витмеръ, Б. А., Головинскій, М. В., Довнаръ-Запольскій, М. В., Журавская, З. Н., проф. Зѣлинскій. Ѳ. Ф., Каптеревъ, П. Ф., Котельниковъ, А. Н., проф. Котляревскій, Н. В., Кузнецовъ, И. Д., проф. Кузьминъ-Караваевъ, В. Д., Купріяновъ, Г. П., Крыштофовичъ, Ф., Лозинскій, А. А., Ляховецкій, Л. Д., Мазаевъ, М. Н., Мазуркевичъ, В. А., Морозовъ, П. О., Назарьева, К. В., проф. Озеровъ, А. Х., проф. Овсянико-Куликовскій, Д. Н., Панкратьевъ, П. Э., прив-доц. Перетцъ, В. Н., Раппопортъ. С. И., Рейнгольдъ, А. А., Сабинина, М. В., проф. Свѣшниковъ, М. И., Селивановъ, Н. А., Смирновъ, Е. Л., Субботинъ, А. П., Сухонинъ, С. С., д-ръ философіи Филипповъ, М. М., Франко, Ив., Черевковъ, В. Д., Щепкина. Е. Н., Щепкина-Куперникъ, Т. Л., акад. Янжулъ, Ив. Ив. Янжулъ, Е. Н., Ястребовъ. Н. М. и др.

II. Въ отдѣлѣ белетристики и искуствъ: Борманъ, Э. Н., Вербицкая, А. А., Вересаевъ, В. В., Гнѣдичъ. П. П., кн. Голицынъ (Муравлинъ) Д. П., Горкій. М., Далькевичъ, М. М., Заринъ, А. Е., Коринфскій, А. А., Луговой, А. А., Медвѣдевъ, Л. М., Михайловскій, Н. Г. (Гаринъ), Мордовцевъ, Д. Л., Соллогубъ, Ф. К., Соломирскій, Э. В., Струве, П. Б., Сѣрошевскій, В. А., Танъ, Н. А., Франко, Ив., Фругъ. С. Г., Чюмина, О. Н. и др.

| ПОДПИСНАЯ ЦѢНА: | | На годъ. | На 6 м. | На 3 м. | На 1 м. |
|---|---|---|---|---|---|
| Въ Россіи | съ достав. и пересылкой | 10 р.—к. | 5 р.—к. | 2 р. 50 к. | 1 р.—к. |
| | безъ дос. | 9 „ — „ | 4 „ 50 „ | 2 „ 25 „ | — „ 90 „ |
| Заграницу | | 16 „ — „ | 8 „ — „ | 4 „ — „ | 2 „ — „ |

Разрочка допускается по четвертямъ, а для служащихъ (черезъ казначеевъ) по 1 руб. въ мѣсяцъ (при подпискѣ на годъ въ теченіе первыхъ десяти мѣсяцевъ).—Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца.—За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—20 к. При перемѣнѣ адреса просятъ сообщать полностью прежній адресъ, или присылать бандероль, подъ которой высылалась газета. Деньги за перемѣну адреса можно высылать марками.—Отдѣльные номера газеты продаются въ Конторѣ Редакціи по 5 коп.—Редакція открыта ежедневно отъ 2 ч. до 4 ч.—Контора ежедневно отъ 11 ч. до 5 ч., кромѣ праздничныхъ и воскресныхъ дней.—Рукописи обратно не возращаются.—Объявленія пронимаются по цѣнѣ: 40 к. строка петита впереди текста и 15 к.—позади.

Редакторы: кн. В. В. Барятинскій. К. И. Арабажинъ.

Издатель: кн. В. В. Барятинскій.

ზ. (5—4)

გამომც. გ. [illegible]

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Января, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27